დანართი №1

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა, სოციალური პროგრამის ფარგლებში, დაფინანსების წესი და პირობები

მუხლი 1. სოციალური პროგრამის ფარგლებში სტუდენტების სწავლის დაფინანსების ზოგადი პირობები

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის (შემდგომ - პროგრამა) ფარგლებში სტუდენტთა სწავლის დაფინანსებისათვის გამოიყოს 750 000 (შვიდას ორმოცდაათი ათასი) ლარი იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხიდან გამოეყოს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარი ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სტუდენტთა კატეგორიას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხიდან გამოიყოს 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც განეკუთვნებიან ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სტუდენტთა კატეგორიას.

4. ამ პროგრამის მიზნებისათვის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის (შემდგომ - გრანტი) სრული ოდენობა განისაზღვროს 2 250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარით.

5. პროგრამის ფარგლებში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსება გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, გრანტის სრული ოდენობის ფარგლებში.

6. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აქვს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, პროგრამის ფარგლებში მისი სწავლის საფასური შეივსება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ ოდენობამდე, მაგრამ არაუმეტეს 2250 ლარისა.

7. თუ სტუდენტს ამოწურული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული გრანტის ნაწილობრივი ოდენობა და სწავლას აგრძელებს იმავე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, დასაშვებია დარჩენილი ნაწილობრივი გრანტის მინიჭება პროგრამის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 2250 ლარისა.

8. პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს სტუდენტმა, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ მოიპოვა

გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვა გრანტის ნაწილობრივი ოდენობა და განეკუთვნება ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ კატეგორიას.

9. სტუდენტი, რომელიც განეკუთვნება ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ორ ან მეტ კატეგორიას, დაფინანსებას მოიპოვებს ერთ-ერთ კატეგორიაში, ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანმიმდევრობის დაცვით.

10. სტუდენტები პროგრამის ფარგლებში დაფინანსებას მოიპოვებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომ – დებულება) მე-6 მუხლის მე-2 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ საგნებში მიღებული აბსოლუტური ქულებით, რანჟირების სიის საფუძველზე.

მუხლი 2. სტუდენტთა კატეგორიები

1. ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანხა 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი, პირველი მუხლის შესაბამისად, გადაეცემათ:

ა) 14 სტუდენტს, რომლებიც 2021-2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და არიან: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა შვილები; 1998 წლის მაისის და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები ან მათი შვილები;

ბ) 3 სტუდენტს, რომლებიც 2021-2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და არიან საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილი ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად გარდაცვლილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების შვილები; საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები ან მათი შვილები;

გ) 3 სტუდენტს, რომლებიც 2021-2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილები;

დ) 2 სტუდენტს, რომლებიც 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, და არიან პირები

რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით; სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

ე) 30 სტუდენტს, რომლებიც 2020-2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

ვ) 2 სტუდენტს, რომლებიც 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და არიან აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ზოგადი აშლილობების ჯგუფიდან ერთ-ერთი: F84.0, F84.1, F84.2, F84.3, F84.4, F84.5, F84.8, F84.9) მქონე პირები;

ზ) 10 სტუდენტს, რომლებიც 2021-2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და არიან ობოლნი (გარდაცვლილი ჰყავთ დედ-მამა ან გარდაცვლილი ჰყავთ დედა და დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის საფუძველი იყო დედის განცხადება);

თ) 2 სტუდენტს, რომლებიც 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში იყვნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელებული „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის, „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“ ქვეპროგრამის ბენეფიციარები, როგორც „ბოშა მოზარდი“.

2. ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხა – 600 000 (ექვსასი ათასი) ლარი, გადაეცემათ სტუდენტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის უფლება მოიპოვეს 2024 და 2025 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, აქედან:

ა) 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის გამოიყოს 300 000 (სამასი ათასი) ლარი;
ბ) 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის გამოიყოს 300 000 (სამასი ათასი) ლარი.

მუხლი 3. დაფინანსების პრინციპი კონკურსისა და თანაბარი ქულების შემთხვევაში

1. თუ ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ კატეგორიაში შემავალი სტუდენტების რაოდენობა (შემდგომ – დასაფინანსებელი სტუდენტები) აღემატება ამ კატეგორიისათვის გამოყოფილი ადგილების (შემდგომ – ადგილი) რაოდენობას ან დარჩენილი თანხა არ არის საკმარისი ყველა მათგანის დასაფინანსებლად (შემდგომ– კონკურსი), თანხა გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულებით რანჟირების სიის საფუძველზე, უმაღლესი ქულის მქონე სტუდენტებზე.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დასაფინანსებელი სტუდენტების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულებით რანჟირებისას ბოლო ადგილზე 2 ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი აბსოლუტური ქულა, დაფინანსება გაიცემა ქვემოთ მოცემულ გამოცდებში მაღალი ქულის მქონე სტუდენტზე, შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;
ბ) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხოური ენის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.

მუხლი 4. დარჩენილი თანხის გადანაწილება

1. თუ ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა ამავე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სტუდენტებზე და რომელიმე ქვეპუნქტში დარჩენილია დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა, დარჩენილი თანხა გაიცემა ამ სტუდენტების დასაფინანსებლად.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადანაწილების შემდეგ, თანხა სრულად არ გაიცა, დარჩენილი თანხა დაემატება ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით გადანაწილების შედეგად დარჩენილ თანხას და გაიცემა ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანმიმდევრობის დაცვით იმ კატეგორიის სტუდენტებზე, რომლებმაც ვერ მოიპოვეს დაფინანსება გამოყოფილი ადგილების ფარგლებში.

3. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადანაწილების შემდეგ თანხა სრულად არ გაიცა, დარჩენილი თანხა გაიცემა ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანმიმდებრობის დაცვით დასაფინანსებელ სტუდენტებზე.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული განაწილების შემდეგ თანხა სრულად არ გაიცა, დარჩენილი თანხა დაემატება „2025 წლის 17 დეკემბრამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების სწავლის დაფინანსების წესისა და პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 15 იანვრის №3 დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თანხას.

მუხლი 5. განაცხადების წარდგენის ვადები, განხილვის წესი და გადაწყვეტილება დაფინანსების მინიჭების შესახებ

1. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სტუდენტები განცხადებას წარადგენენ ელექტრონულად პორტალზე http://socreg.mes.gov.ge 2026 წლის **26 აგვისტოდან 2026 წლის 25 სექტემბრის** ჩათვლით.

2. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია დადგენილი ხარვეზი გამოასწოროს 2026 წლის **9 ოქტომბრის** ჩათვლით.

3. განცხადებასთან ერთად, სტუდენტი ვალდებულია ატირთოს ამ ბრძანების დანართი №3-ით გათვალიწინებული კატეგორიისთვის განსაზღვრული დოკუმენტები.

4. პროგრამის ფარგლებში გრანტის მოპოვება შესაძლებელია, თუ განმცხადებელი აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ 39-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში გამოცემულია რექტორის ერთიანი აქტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში აბიტურიენტის ჩარიცხვის შესახებ და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული "უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების" მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში ასახულია უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

5. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სტუდენტები გრანტის მოპოვებას შეძლებენ თუ აკმაყოფილებენ ამავე წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, 2026 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით აქვთ სარეიტინგო ქულა 70000 ან ნაკლები.

6. პროგრამის ფარგლებში გრანტით დაფინანსების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტი უფლებამოსილია, სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პირველადი სტრუქტურული ერთეულებიდან (დეპარტამენტიდან), გამოითხოვოს და დაამუშაოს სტუდენტების შესახებ ინფორმაცია.

7. პროგრამის ფარგლებში გრანტით დაფინანსების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ეთხოვოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს, სტუდენტების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოწოდება.

8. პროგრამის ფარგლებში გრანტით დაფინანსების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 6. პროგრამის გავრცელება და ხელმისაწვდომობა

პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა დაფინანსების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ უზრუნველყოს ინფორმაციის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მიწოდება და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.